ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 30.01.2023 წ.

დადგენილება N4.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 07.02.2025 წ.

დადგენილება N47.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

1.2. წინამდებარე წესი შემუშავებულია ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, ”უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის № 224/ნ ბრძანებისა და „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებისა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 ივლისის N119/ნ ბრძანების საფუძველზე;

1.3. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, დამატებითი სემესტრის, მობილობის, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიღებისა და ჩარიცხვის წესებს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესებს, მომსახურების ხელშეკრულების არსებით შემადგენელ პირობებს, სტუდენტისათვის წაყენებულ აკადემიურ მოთხოვნებს, სტუდენტის შეფასების სისტემას, ინფორმაციას სწავლებისა და სწავლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ;

1.4. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო სხვა ენაზე სწავლება (უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება), გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულ და აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;

1.5. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზებას/მართვას ახორციელებენ: რექტორი, ხარისხის მართვის სამსახური და საგანმანათლებლო ერთეულები - სკოლები.

თავი II სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის წესები

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი განათლების აკადემიურ საფეხურზე

2.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და მობილობის საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად;

2.2. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესები დადგენილია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და ხორციელდება განურჩევლად ეროვნების, რასის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსისა. დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია;

2.3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელ ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს უნივერსიტეტში შესაბამის სკოლაში/საგანმანათლებლო პროგრამაზე;

2.4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

2.5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის და საგნობრივი კომპეტენციის მქონე პირს, რაც დადასტურებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შესაბამისი საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარებით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარებით;

2.6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია აპლიკანტებისთვის და განთავსებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალურ ვებ - გვერდზე.

2.7. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, პირმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტს რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში;

2.8. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით;

2.9. აბიტურიენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ (ვაუების შემთხვევაში);

2.10. რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ და დებს მათთან ხელშეკრულებას;

2.11. უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში;

2.12. აბიტურიენტი, რომელიც არ მიმართავს უნივერსიტეტს რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის პირველ ივნისამდე. უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება სამინისტროში, გამოცემიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უნივერსიტეტში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას;

2.13. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტში პირის ჩარიცხვა დასაშვებია სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურებით და წინამდებარე წესის IV თავის შესაბამისად;

2.14. პირის უნივერსიტეტში ჩარიცხვა სამაგისტრო საფეხურზე შესაძლებელია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე;

2.15. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტში რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით დადგენილ ვადაში;

2.16. უნივერსიტეტის შიდა გამოცდებზე მიღებული შედეგების საფუძველზე, პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი დასაბუთებული სააპელაციო განაცხადით მიმართავს უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის დეკანს;

2.17. სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას;

2.18. შიდა გამოცდის/გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, იქმნება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

3.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება - მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

3.2. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში;

3.3. **სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:**

ა. პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ. უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ. ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

დ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ე. ფინანსური დავალიანება;

ვ. ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ზ. დისციპლინური გადაცდომა;

თ. უცხოელი სტუდენტის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის არ ქონა.

3.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;

3.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, დაწესებულება და სტუდენტი თავისუფლდებიან უფლება - მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე;

3.6. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, მათ შორის ამ მუხლის 3.3. პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეჩერების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია რექტორის ბრძანების გამოცემიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში ინფორმაცია წერილობით მიაწოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

4.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შეიძლება უკავშირდებოდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას;

4.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.3. სტუდენტის სტატუსი წყდება მობილობით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისას და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების ან უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

4.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება განათლების კონკრეტულ საფეხურზე;

ბ. პირადი განცხადება;

გ. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

დ. სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეურაცხყოფა, მათ მიმართ უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება და ძალადობა;

ე. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

ვ. ქმედუუნაროდ ცნობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ. გარდაცვალება ან გარდაცვლილად აღიარება;

თ. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 (ხუთი) წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რაც იწვევს სტუდენტთან დადებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მოშლას. აღნიშნული გარემოება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

5.1. სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი განცხადების საფუძველზე ან/და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი;

5.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა

გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას;

5.3. სტუდენტის სტატუსის აღდგენისას მოხდება პირის მიერ ათვისებული სასწავლო კურსების მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენა და სწავლის გაგრძელების უფლება მიეცემა მის მიერ დაგროვილი კრედიტების შესაბამისი სემესტრიდან;

5.4. სტატუსშეჩერებული სტუდენტი წერს განცხადებას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, განცხადება გადაეცემა სკოლის დეკანს;

5.5. სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ წესის მე - 11, მე - 12 მუხლით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად. დადგენას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, დეკანი/დეკანის მოადგილე, დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი;

5.6. სტუდენტის სტატუსის აღდგენისას ფორმდება ახალი მომსახურების ხელშეკრულება სწავლის იმ საფასურით, რომელიც დადგენილია სტატუსის აღდგენის პერიოდისათვის.

მუხლი 6. დამატებითი სემესტრი

6.1. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და თვითდაფინანსების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსები სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით ან მიმართოს რექტორს მთლიანად სემესტრის/სემესტრების სასწავლო კურსების განმეორებით გავლის შესახებ;

6.2. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საბაკალავრო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში;

6.3. დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესასწავლი სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად.

მუხლი 7. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა (შემდგომში „ისგ“)

7.1. ტიპები

7.1.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ სტუდენტს მისი ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შესაძლებელია შეეთავაზოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა, რომლის შემუშავებაშიც პირადად მიიღებს მონაწილეობას;

7.1.2. ერთ სასწავლო წელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს;

7.1.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს:

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევადობა;

ბ. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გავლის შესაძლებლობა;

გ. სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების ათვისების შესაძლებლობა;

დ. სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა;

ე. კურსის წინაპირობების დაცვა;

ვ. კვირეული სასწავლო დატვირთვის რეგულირება;

ზ. შეფასების სახეების, ფორმების, კრიტერიუმების და მეთოდების გამოყენება;

თ. საჭიროების შემთხვევაში განსხვავებული სწავლების მეთოდების/კრიტერიუმების/ფორმები და მეთოდების გამოყენება;

ი. სასწავლო პროგრამის ყველა კომპონენტის ათვისების შესაძლებლობა.

7.1.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ტიპები (შესაძლებლობის ფარგლებში):

ა. საგანმანათლებლო პროგრამაში სრული დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის;

ბ. საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის;

გ. საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის.

7.1.5. სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება, შესაძლოა, დადგეს სხვადასხვა საფუძვლების არსებობის გამო: შიდა ან გარე მობილობა, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, სტატუსის შეჩერების შემდგომ სწავლის გაგრძელების მიზნით სტატუსის აღდგენისას სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება, საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილება და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და სხვა;

7.1.6. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესი ეყრდნობა სტუდენტის მიერ მანამდე წარმატებით გავლილი სასწავლო კომპონენტების აღიარებას, სტატუსის მინიჭებას, დასკვნის შემუშავებასა და სწავლის გაგრძელების შედეგად, კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისთვის ინდივიდუალური გეგმის განსაზღვრას.

7.2. პროცედურა

7.2.1. ისგ - ს შემუშავების საჭიროების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი სკოლის დეკანს წერილობით;

7.2.2. ისგ უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად მიზნებსა და შედეგებს;

7.2.3. ისგ - ს შემუშავება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად;

7.2.4. ისგ - ს განიხილავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სკოლის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად და დასამტკიცებლად გადაეცემა სკოლის საბჭოს.

7.3. ისგ საგანმანათლებლო პროგრამაში სრული დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის

7.3.1. საგანმანათლებლო პროგრამაში სრული დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვას მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების საფუძველზე;

7.3.2. არსებული გეგმა უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად მიზნებსა და შედეგებს.

7.4. ისგ საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის

7.4.1. საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტი არის პირი, რომელიც სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე (უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად), ვერ ახერხებს სრულად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში;

7.4.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ასეთ სტუდენტს, გაიაროს საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო პროცესის მიზნებისთვის ხელის შეშლის გარეშე.

7.4.3. არსებული გეგმა უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად მიზნებსა და შედეგებს.

7.5. ისგ საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივ დატვირთვით ჩართული სსსმ სტუდენტისთვის

7.5.1. საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივ დატვირთვით ჩართული სსსმ სტუდენტისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

7.5.2. ისგ - ს მიზანია სსსმ სტუდენტის სასწავლებლის ცხოვრებაში ინტეგრაცია, ხელშეწყობა და სათანადო პირობების შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვისა და სტუდენტური სერვისების თანაბრად მიღების კუთხით.

7.6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ცვლილება

7.6.1. ისგ მუდმივად განვითარებადი დოკუმენტია. მასში შესატანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე.

მუხლი 8. მობილობა

8.1. "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებაში 2019 წლის 12 ივლისის N149/ნ ბრძანებით

განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად განისაზღვრა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;

8.2. სტუდენტთა მობილობის პროცესი ხორციელდება მობილობის ელექტრონული პორტალის საშუალებით students.emis.ge, სადაც აისახება დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და ხორციელდება მობილობის მსურველ პირთა რეგისტრაცია. მობილობის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი დამტკიცებულია სსიპ - მართვის სისტემის უფროსის 2019 წლის 17 ივლისის N1.1/89 ბრძანებით;

8.3. სტუდენტთა მობილობა არის სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;

8.5. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

8.6. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობდა არანაკლებ 1 (ერთი) წლის (ორი აქტიური სემესტრის) განმავლობაში. ამ პერიოდში არ შედის ის დრო, როდესაც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით სტატუსის შეჩერებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. მობილობის უფლება აქვს ასევე სტუდენტს სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში;

8.7. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად;

8.8. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი ან პირი, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

8.9. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2 - ჯერ, დადგენილ ვადაში და მოქმედი კანონმდებლობის დადგენილი წესების შესაბამისად;

8.10. უნივერსიტეტის სხვადასხვა სასწავლო პროგრამებზე სხვა სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლის, ისევე როგორც უნივერსიტეტის შიგნით სხვადასხვა პროგრამებზე ან სკოლებში გადასვლის პროცესს არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა და წინამდებარე წესი;

8.11. მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ წესის მე - 11, მე - 12 მუხლით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად. დადგენას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, დეკანი/დეკანის მოადგილე, დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი;

8.12. ამავე მუხლის 8.11 პუნქტში მითითებული პირები განიხილავენ სტუდენტის მიერ შესწავლილ სასწავლო კურსებს (კრედიტებს), ადარებენ მას პროგრამის სასწავლო კურსთან და კრედიტებთან და ადგენენ სტუდენტის მიერ ჩასაბარებელი განსხვავებული სასწავლო კურსების ჩამონათვალს, რის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესახებ, რომელსაც წარუდგენენ უნივერსიტეტის რექტორს;

8.13. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.14. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება წინამდებარე წესის IV თავის შესაბამისად. ამ პირების ჩარიცხვა დასაშვებია მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 9. შიდა მობილობა

9.1. სტუდენტს უფლება აქვს სწავლის პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა;

9.2. შიდა მობილობის პროცესი ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე;

9.3. ბრძანებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი კარგავს შიდა მობილობით სარგებლობის უფლებას;

9.4. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტურ ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, ხოლო კონკურსის შემთხვევაში ყურადღება მიექცევა GPA - ს;

9.5. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

9.6. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;

9.7. უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე გადასვლა პირადი სურვილის ან პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. ამისთვის სტუდენტი წერს განცხადებას სკოლის დეკანის სახელზე, სადაც აღნიშნულია, თუ რომელი პროგრამიდან რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა;

9.8. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ წესის მე - 11, მე - 12 მუხლით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად. დადგენას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, დეკანი/დეკანის მოადგილე, დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი;

9.9. ამავე მუხლის 9.8 პუნქტში მითითებული პირები განიხილავენ სტუდენტის მიერ შესწავლილ სასწავლო კურსებს (კრედიტებს), ადარებენ მას პროგრამის სასწავლო კურსთან და კრედიტებთან და ადგენენ სტუდენტის მიერ ჩასაბარებელი განსხვავებული სასწავლო კურსების ჩამონათვალს, რის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესახებ, რომელსაც წარუდგენენ უნივერსიტეტის რექტორს;

9.10. შიდა მობილობის წესით სტუდენტის გადასვლის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, ხოლო 5 (ხუთი) დღის ვადაში ინფორმაცია აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

9.11. შიდა მობილობის პირობები საჯაროა, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის;

9.12. შიდა მობილობის პროცედურის დასრულების შემდეგ, სტუდენტთან ფორმდება ახალი ხელშეკრულება.

მუხლი 10. მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა

10.1. უნივერსიტეტი, როგორც მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს, უნივერსიტეტში მობილობის მსურველი სტუდენტების სიას და ინფორმაციას განსაზღვრული სემესტრის, აღიარებული კრედიტებისა და საფასურის შესახებ;

10.2. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ამოწმებს ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას

პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ;

10.3. მობილობით სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტზე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ;

10.4. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება შემდეგი პროცედურები:

ა. დოკუმენტაციის მიღება;

ბ. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება;

გ. სტუდენტთათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და წერილობითი განცხადებით დადასტურება (თანხმობა/უარი);

დ. მობილობით ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვა.

10.5. წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოიცემა მობილობით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტი/ბრძანება, რომელიც ორი კვირის ვადაში ეგზავნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;

10.6. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

10.7. რეესტრის მონაცემების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში;

10.8. მობილობაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა. განცხადება მობილობის განხორციელების სურვილის შესახებ;

ბ. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ. პირადობის მოწმობის ასლი;

დ. წვევამდელის სამხედრო - სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვაჟებისათვის);

ე. სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის ასლი;

ვ. სტუდენტის სასწავლო ბარათი;

ზ. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თავი III. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა

11.1. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენას ახდენს ხარისხის მართვის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, დეკანი/დეკანის მოადგილე, დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი;

11.2. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის ან/და სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამისა (კურიკულუმი) და სასწავლო კურსების (სილაბუსები) შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე;

11.4. საგანმანათლებლო პროგრამის (მიღებული კრედიტების) აღიარების დროს ხდება სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული სასწავლო კურსების კრედიტების შედარება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან;

11.5. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა:

ა. მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

ბ. თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსისთვის მიმღები სკოლის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით

NEU
ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

გათვალისწინებული ECTS კრედიტი განსხვავებულია, აღიარება ხდება მიმღები სკოლის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების შინაარსობრივი თავსებადობის გათვალისწინებით;

11.6. სასწავლო კურსების კრედიტების აღიარებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის მიზნები და შედეგები, მათი შესაბამისობა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები);

11.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა;

11.8. სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს არჩევითი ან თავისუფალი კრედიტის სახით იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევით ან თავისუფალ კომპონენტს;

11.9. აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები, სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, აისახება დიპლომის დანართში;

11.10. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სტუდენტის სასურველი პროგრამის სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტს, მაშინ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად;

11.11. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის და რომლის მიხედვითაც დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სემესტრიდან აგრძელებს სწავლას სტუდენტი.

მუხლი 12. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

12.1. შესაბამისი პირები ადგენენ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და ადგენენ დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა უნივერსიტეტს წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, უნივერსიტეტის შესაბამისი პირები უფლებამოსილნი არიან მობილობის მსურველ პირს მოსთხოვონ ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა

ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშონ სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინონ გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა. თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ეკვივალენტზე საათებში, ანუ 25 - ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25 - ზე: 60x3/25=7,2, დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ. თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5 - ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

ა. შეფასება 5 /ფრიადი/ პირობითად ჩაითვალოს - (A) ფრიადი 91 - 100 შეფასებად;

ბ. შეფასება 4 /ძალიან კარგი/ პირობითად ჩაითვალოს - (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

გ. შეფასება 4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს - (C) კარგი 71 - 80 შეფასებად;

დ. შეფასება 3 /დამაკმაყოფილებელი / ჩაითვალოს (D) დამაკმაყოფილებელი 61 - 70 შეფასებად;

ე. შეფასება 3 /საკმარისი / პირობითად ჩაითვალოს (E) საკმარისი – 51- 60 ქულა.

შეფასება „ჩაეთვალა“ - ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: 5 ბალიანი შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100 - ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო კურსების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად; მაგ. 81(4)+91(5)+71(4)+71(4)+91(5)+81(4)=486/6=81(B);

12.3. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება ამავე წესის მე - 11 მუხლის, 11.1. პუნქტში მითითებული პირების მიერ წარმოდგენილი კრედიტების აღიარების დასკვნის საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა, და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ;

12.4. უნივერსიტეტი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და სტუდენტის ჩარიცხვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

12.5. კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტის მოთხოვნით უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ საქართველოში ლიცენზირებულ ან

ავტორიზებულ უმაღლეს საგანმნათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების თავსებადობას და ცენტრის მომართვის საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

12.6. ცენტრის მომართვის საფუძველზე 10 (ათი) დღის ვადაში უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანამანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

12.7. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია აღიარებასთან დაკავშირებული დამატებითი ასპექტების გამოკვეთა.

თავი IV. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიღების/ჩარიცხვის წესი და სტატუსის შეჩერების პროცედურები

მუხლი 13. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

13.1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

13.2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად;

13.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (აბიტურიენტებისათვის /სტუდენტებისათვის/ მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე) იღებს უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.4. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 (ორი) წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

13.5. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

13.6. საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ - ერთი სემესტრის განმავლობაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 14. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების კანდიდატების მიღების წინაპირობები

14.1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი გადის გასაუბრებას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში;

14.2. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი/სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს;

14.3. სფეროს სპეციფიკის შესაბამისად შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამამ განსაზღვროს დამატებითი ასპექტები.

მუხლი 15. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით განსახორციელებელი მოქმედებები

15.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე - უნივერსიტეტში სწავლის მსურველი აბიტურიენტები/სტუდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველმა აბიტურიენტმა/სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის

მოთხოვნით. უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, ენის ცოდნის შეფასების მიზნით ჩატარებული გასაუბრების დადებითი შეფასების მიღების შემდეგ, გაიცემა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე;

15.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე - სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა. განცხადება რექტორის სახელზე (საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით);

ბ. მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ. უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, არსებობის შემთხვევაში ნიშნების ფურცლით (აპოსტილით დამოწმებული);

დ. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასებების და კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ნიშნების ფურცლით (აპოსტილით დამოწმებული) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე. მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი;

ვ. 4 (ოთხი) ფოტოსურათი 3X4 (ელექტრო ვერსია);

ზ. პასპორტის ასლი (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);

15.3. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

მუხლი 16. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვება

16.1. უნივერსიტეტში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი (ბრძანება) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე, რის საფუძველზეც მხარეებს შორის ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება;

16.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, სტუდენტთა პირადი საქმეების გათვალისწინებით საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის ასახვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი;

16.3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პროცედურებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 17. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტების სტატუსის შეჩერება

17.1. უნივერსიტეტი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში;

17.2. უნივერსიტეტი ვალდებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, ბრძანების გამოცემიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში ინფორმაცია წერილობით მიაწოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

თავი V. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლების უზრუნველყოფა

18.1. სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, პროგრამის დახვეწის, უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში - ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო სტუდენტმა შეიძლება გადაწყვიტოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;

18.2. უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებით სარგებლობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა ამ წესით დადგენილი

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების პირობების შესაბამისად;

18.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

ა. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;

ბ. საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

გ. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

18.4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის სკოლის საბჭოს წარდგინებით სენატი. პროგრამის გაუქმების შესახებ რექტორი გამოსცემს ბრძანებას;

18.5. უნივერსიტეტში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის მართვის სამსახური ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს სენატს;

18.6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და ვალდებულია:

ა. სტუდენტს შესთავაზოს ECTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) კრედიტებთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ. სტუდენტს შესთავაზოს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები, რომელიც შესაბამისობაში იქნება სხვა პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში;

გ. საქართველოში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათ მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სტუდენტების ინფორმაციით უზრუნველყოფა;

დ. გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

18.7. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და უფლებამოსილია:

ა. უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათ მიერ მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ბ. სტუდენტის შუამდგომლობის საფუძველზე უშუალოდ აწარმოოს მოლაპარაკებები საქართველოში ავტორიზებულ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ უნივერსიტეტის მიერ გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს საგანმანათლებლო პროგრამას;

18.8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებით.

თავი VI. სასწავლო პროცესი

მუხლი 19. აკადემიური წელი

19.1. აკადემიური წელი მოიცავს 38 (ოცდათვრამეტი) კვირას (სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამის პირობებში), ხოლო საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის 40 (ორმოცი) კვირას;

19.2. უნივერსიტეტში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომის და გაზაფხულის. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 (ცხრამეტი) კვირას (სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამის პირობებში), ხოლო საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის 20 (ოცი) კვირას;

19.3. სემესტრში კვირები ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად;

19.4. უნივერსიტეტი ისვენებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში.

მუხლი 20. საბაკალავრო პროგრამები

20.1. უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს:

ა. ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

გ. ბიზნესის ადმინისტრირების 180 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტაციის პროცესში);

დ. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

ე. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

ვ. საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

20.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მეთოდოლოგიით.

მუხლი 21. სამაგისტრო პროგრამები

21.1. უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს:

ა. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტაციის პროცესში);

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამები

22.1. უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ 60 (სამოცი) კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებს:

ა. დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მასწავლებლის მომზადების პროგრამა;

ბ. დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა;

გ. ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამა (დაწყებითი - საბაზო - საშუალო საფეხური);

დ. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისათვის.

თავი VII. შეფასების სისტემა

მუხლი 23. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა)

23.1. უნივერსიტეტში მოქმედებს ტრანსფერისა და კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემა, რომელიც ეფუძნება ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას;

23.2. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში;

23.3. სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა. ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას/სემინარებს, პრაქტიკულ და სხვა მეცადინეობას;

ბ. დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ. სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;

დ. გამოცდების მომზადება - ჩაბარებას;

ე. დამოუკიდებელ მუშაობას;

ვ. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას;

ზ. საბაკალავრო ნაშრომის დაცვას.

23.4. კრედიტების განაწილება

23.4.1. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისათვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით;

23.4.2. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი;

23.4.3. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს;

23.4.4. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად;

23.4.5. კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისათვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო;

23.4.6. ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგების მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტებისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტს;

23.5. სასწავლო კვირა/სემესტრი/წელი

23.5.1. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებლად შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;

23.5.2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი

გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტების მიღწევის შეფასების პერიოდს, შესაბამისად სემესრტი მოიცავს 19 (ცხრამეტი)/20 (ოცი) კვირას;

23.5.3. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 1 (ერთი) უწყვეტ კალენდარულ წელს;

23.5.4. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს;

23.5.5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს;

23.5.6. აღდგენილი ან მობილობით გადმოსული სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება მოიცავდეს 75 კრედიტს.

მუხლი 24. სტუდენტის შეფასება

24.1. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს (შუალედურ გამოცდას და მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);
- დასკვნითი გამოცდის/პროექტის შეფასებას;
- სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით;

შეფასების სისტემა უშვებს:

ა. ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91 – 100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61 - 70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - 51- 60 ქულა.

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - 41- 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება მიმდინარე სემესტრში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

24.2. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: - პრაქტიკული აქტივობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, რეფერატის მომზადება - პრეზენტაცია და სხვ.) შუალედური გამოცდა თითოეულს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების სისტემაში;

24.3. 100 ბალიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით;

24.4. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს სასწავლო კურსის სილაბუსში შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების შინაარსს, ხვედრით წილს, შეფასების კრიტერიუმებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება სილაბუსში ჰქონდეს შეფასების განსხვავებული კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მუხლი 25. შეფასების კრიტერიუმები

25.1. კრიტერიუმები:

"A" თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ყოველმხრივი, ღრმა ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული ყველა დავალება, აითვისა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, დამოუკიდებლად მოიძია ცოდნის გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროები;

"**B**" თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ღრმა ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების ძირითადი ნაწილი და ასევე აითვისა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

"**C**" თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის სრული ცოდნა და წარმატებით შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებები და ასევე აითვისა სასწავლო კურსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა;

"**D**" თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ცოდნა იმ მოცულობით, რაც საკმარისია შემდგომი სწავლებისათვის; თავი გაართვა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას. იგი იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას, უნარი შესწევს ამ ცოდნის დამოუკიდებლად შევსება - განახლებისა.

NEU
ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

გამოამჟღავნა შესწავლილი მასალის თეორიული ცოდნის, გაცნობიერების და გამოყენების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები;

“**E**” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის არასრულყოფილი ცოდნა, უძნელდება სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების შესრულება, სრულად არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ძირითადი ლიტერატურას, გაუძნელდება დამოუკიდებლად მუშაობა, გამოამჟღავნა შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საშუალო დონე;

“**FX**” თუ სტუდენტმა გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ვერ დააკმაყოფილა სასწავლო კურსის დაუფლებისათვის სავალდებულო მოთხოვნები, ვერ გამოამჟღავნა სასწავლო - საპროგრამო მასალის ცოდნა, დაუშვა პრინციპული შეცდომები სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების შესრულების დროს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეკომენდებულ ლიტერატურაზე, მაგრამ იგი, ინტენსიური მეცადინეობის შედეგად მოკლეევადიან პერიოდში შესძლებს დადებითი შეფასების მიღებას;

“**F**” თუ სტუდენტს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სასწავლო კურსის შინაარსზე, არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალასა და ძირითად ლიტერატურას, არ შესწევს უნარი დამოუკიდებელი მუშაობით დაეუფლოს დისციპლინას და საჭიროებს სასწავლო კურსის თავიდან შესწავლას.

მუხლი 26. სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები

26.1. სტუდენტს მხოლოდ სასწავლო კურსის/კომპონენტების წინაპირობების გათვალისწინებით შეუძლია სასწავლო კურსების/კომპონენტების გავლა;

26.2. სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

26.3. დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში;

26.4. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

26.5. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება "F"-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განმეორებით შეისწავლოს სასწავლო კურსი დამატებითი გადასახადის უზრუნველყოფით. მას მხოლოდ აღნიშნულ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში შეუძლია წინაპირობების გათვალისწინებით მასზე ბმული სასწავლო კურსების გავლა. "F"- ით შეფასებული სტუდენტი ერთი და იმავე საგნის განმეორებით შესწავლის რაოდენობაში არ არის შეზღუდული;

26.6. სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასებად ჩაითვლება მისი ბოლო შედეგი;

26.7. FX შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არა ნაკლებ 5 დღეში - დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე;

26.8. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად;

26.9. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0 - 50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - ქულა;

26.10. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, ფინანსური დავალიანების გამო სასწავლო კურსზე (სასწავლო კურსებზე) რეგისტრაციის გაუქმების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, ან სასწავლო კურსზე (სასწავლო კურსებზე) რეგისტრაციის გაუქმების სხვა შემთხვევების დროს, სტუდენტი არ თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციის შესაბამისად სემესტრულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდისაგან;

26.11. სტუდენტის ჩარიცხვის მომენტისთვის დადგენილი სწავლის საფასური სწავლების სტანდარტული პერიოდის განმავლობაში არ შეიცვლება, გარდა ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებისა. ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვნად გაუფასურებად ჩაითვლება ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მინიმუმ 5% დევალვაცია. აღნიშნულ ვადაში შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და იგი აითვლება სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და მისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების მომენტიდან.

მუხლი 27. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის (ე. წ. GPA - ს) დაანგარიშების წესი

27.1. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის დასაანგარიშებლად თავდაპირველად ხდება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობის დადგენა GPA - სთან ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპით:

შეფასება	**ქულობრივი მაჩვენებელი**	**GPA**
A	91 - 100	4.0
B	81 - 90	3.0
C	71 - 80	2.0

D	61 - 70	1.0
E	51 - 60	0.5
F - FX	0 - 50	0

27.2. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშება ხდება უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ბაზის საშუალებით;

27.3. წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის დიპლომის საშუალო ქულა (ე.წ. GPA) შეადგენს არანაკლებ 3.5 - ს.

მუხლი 28. მომსახურების ხელშეკრულება და სწავლის საფასური

28.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, უნივერსიტეტში სწავლის საფასურს ადგენს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი ბრძანებით;

28.2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში. სტუდენტის თხოვნით შეიძლება დადგინდეს სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი. აღნიშნულ შემთხვევას განიხილავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური;

28.3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში სემესტრის შესაბამისად;

28.4. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია დეტალური საკითხები: სწავლის პირობები, უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა.

თავი VIII. სწავლებისა და სწავლის ფორმები და მეთოდები

მუხლი 29. სწავლებისა და სწავლის ფორმები და მეთოდები

29.1. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლა - სწავლების შემდეგი ფორმები: ლექცია/ინტერაქციული ლექცია; სამუშაო ჯგუფში მუშაობა, /პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა; სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა; პრაქტიკა;

29.2. კონკრეტული სასწავლო კურსის თავისებურებების გათვალისწინებით, სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს შეუძლია სწავლა - სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენება: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); სოკრატული მეთოდი; როლური და სიტუაციური თამაშები; ქეისის განხილვა; ელექტრონული სწავლება (E - learning); აუდიო - ვიზუალური მეთოდი და სხვ.

თავი IX. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

მუხლი 30. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

30.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსები, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები. საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე;

30.2. საგანმანათლებლო პროგრამებში სემესტრის მიხედვით, გამიჯნულია სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კურსები. პროგრამებში მოცემულია სტუდენტის მიერ შესასრულებელი აუცილებელი მინიმუმი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებს და ასევე არჩევით/თავისუფალ სასწავლო კურსებს. კრედიტების განაწილების შესახებ სტუდენტების ინფორმირება ხდება სემესტრის დაწყებამდე მათ აქვთ შესაძლებლობა თვითონ მიიღონ მონაწილეობა საკუთარი ინდივიდუალური პროფილის შექმნაში.

30.3. არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, შესაბამისი სკოლის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებას სემესტრის დაწყებისთანავე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ. სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

NEU
ერიოვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსების გაცნობა და სარეგისტრაციო პერიოდში არჩევანის გაკეთება/დარეგისტრირება შესაბამის პროგრამაზე.

30.4. არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით უნივერსიტეტში ყოველი სემესტრის დაწყებამდე სტუდენტები გადიან სემესტრულ რეგისტრაციას ელექტრონული ფორმით, რა დროსაც ხდება სტუდენტის მიერ, როგორც სავალდებულო, ისე არჩევით/თავისუფალ სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია.

თავი X. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 31. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება

31.1. უნივერსიტეტში ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, სკოლა, წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო - სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;

31.2. საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, მოიპოვა პროგრამისთვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მიაღწია საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილ შედეგებს;

31.3. საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულების შემდეგ, სკოლის საბჭო შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების პირად საქმეებს, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი სავალდებულო კრედიტების მიღების საკითხს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

31.4. თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნა ან მას არ აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

31.5. თუ სტუდენტს, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნის შესრულებით მიღებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამა ითვლება დასრულებულად და სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭებისა და "წარჩინებით"/"ჩვეულებრივი" დიპლომის გაცემის შესახებ;

31.6. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და

NEU
ერროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

დარგის/სპეციალობის მითითებით. აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი დიპლომი;

31.7. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „მაგისტრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი დიპლომი;

31.8. დიპლომის განუყოფელი ნაწილია დიპლომის დანართი, რომელშიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტი შესაბამისი სახელწოდებების, კრედიტების რაოდენობების და მიღებული შეფასებების მითითებით;

31.9. საგანმანათლებლო 60 (სამოცი) კრედიტიანი პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება სერტიფიკატი;

31.10. საგანმანათლებლო 60 (სამოცი) კრედიტიანი პროგრამის დასრულებისას სტუდენტი იცავს პრაქტიკის დღიურს შესაბამისი კომისიის წინაშე;

31.11. სერტიფიკატის განუყოფელი ნაწილია დანართი, რომელშიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტი შესაბამისი სახელწოდებების, კრედიტების რაოდენობების და მიღებული შეფასებების მითითებით.

მუხლი 32. სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი

32.1. სხდომის ოქმში უნდა აისახოს მიღებული გადაწყვეტილება:

ა. კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის კურსდამთავრებულთა სახელების და გვარების და მათთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და დიპლომის ხარისხის (”წარჩინებით”/”ჩვეულებრივი”) მითითებით);

ბ. კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის სტუდენტების სახელების და გვარების და კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლის მითითებით);

32.2. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებულს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულების შედეგად.

32.3. კვალიფიკაციას ადასტურებს რექტორისა და სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

მუხლი 33. დასკვნითი დებულებანი

33.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

33.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

33.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

33.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.